საიდ. N74427/03

IR 733058

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №171-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ ,,საქპატენტთან" არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), ა. დალაქიშვილი, ქ. კილაძე, ლ. ახობაძის მდივნობით, განიხილა კომპანიის ,,კიკო ს.რ.ლ." (KIKO S.r.l.) (მის.: ვია ჯორჯიო პაგლია, 1/დ I-24122, ბერგამო, იტალია; Via Giorgio Paglia, 1/D, I-24122 BERGAMO) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №171-03/14), რომლითაც მოითხოვება ,,საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ" სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - ,,საქპატენტი" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 18 ივლისის N2086/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნისათვის ,,KIKO" (საიდ. N74427/03, IR 733058) დაცვის მინიჭება საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი,

ექსპერტიზის გადაწყვეტილება და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 18 ივლისის N2086/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი „KIKO“ (ლათინური ანბანით შესრულებული) ჟღერადობით მსგავსია მადრიდის შეთანხმების ოქმით კომპანია ,,არტსანა ს.პ.ა.“ -ს (ARTSANA S.P.A.) სახელზე რეგისტრირებული, ლათინური ანბანით შესრულებული ნიშნისა „chicco“ (რეგ. N763084, რეგ.თარიღი: 29/05/2001წ.). დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები გამოითქმის ერთნაირად - „კიკო“, რაც ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას მე-3 კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვლისათვის. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სასაქონლო ნიშანს „KIKO“ (საიდ. N74427/03, IR 733058) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

აპელანტის წარმომადგენელი, არ ეთანხმება ექსპერტიზის გადაწყვეტილებას და მიიჩნევს, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „KIKO“ (საიდ. N74427/03, IR 733058) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „chicco“ (რეგ. N763084) არ არის აღრევამდე მსგავსი. აპელანტის აზრით, დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს შორის მსგავსების დადგენისას, გათვალისწინებული უნდა იქნას, სასაქონლო ნიშნების ფონეტიკური, სემანტიკური და ვიზუალური მსგავსება. აპელანტი განმარტავს, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ფანტაზიურია და მათ სემანტიკური მნიშვნელობა არ გააჩნიათ. სასაქონლო ნიშნები განსხვავდება ვიზუალურად, კერძოდ, მართალია ორივე შემთხვევაში გამოყენებულია ლათინური ანბანი, მაგრამ სრულიად განსხვავებულია ასოების კომბინაცია, ერთ შემთხვევაში ეს

არის „KIKO“, ხოლო მეორე შემთხვევაში - „chicco“. აპელანტი ასევე მიიჩნევს, რომ დაპირისპირებული ნიშნები განსხვავდება ჟღერადობით, განცხადებული სასაქონლო ნიშანი ქართულად გამოითქმის, როგორც - ,,კიკო“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი, როგორც - ,,ჩიკო“.

გარდა ამისა, აპელანტმა წარმოადგინა დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის ,,არტსანა ს.პ.ა.“ (ARTSANA S.P.A.) მიერ გაცემული წერილი, საიდანაც დგინდება, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის „chicco“ მფლობელი, თანახმაა კომპანიის ,,კიკო ს.რ.ლ.“ (KIKO S.r.l.) განცხადებულ სასაქონლო ნიშანს „KIKO“ (საიდ. N74427/03, IR 733058) მიენიჭოს დაცვა საქართველოში, საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტი ითხოვს ბათილად იქნას ცნობილი ,,საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - ,,საქპატენტი“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 18 ივლისის N2086/03 ბრძანება და საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „KIKO“ (საიდ. N74427/03, IR 733058) მიენიჭოს დაცვა საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. №171-03/14) უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „KIKO“ (საიდ. N74427/03, IR 733058) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „chicco“ (რეგ. N763084) ერთმანეთის მსგავსია.

დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ჟღერადობით იდენტურია და ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის როგორც -,,კიკო“. სააპელაციო პალატის კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის მტკიცებას იმასთან დაკავშირებით, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი გამოითქმის როგორც - ,,ჩიკო“. კომპანიის

,,არტსანა ს.პ.ა.“ (ARTSANA S.P.A.) სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის „chicco“ (რეგ. N763084) ქართული ტრანსლიტერაციაა ,,კიკო“ (kikko) (http://www.wordreference.com/iten/chicco; http://en.bab.la/dictionary/italian-english/chicco) შესაბამისად, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ ფონეტიკური თვალსაზრისით დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები იდენტურია.

ამასთან, სააპელაციო პალატის კოლეგია იზიარებს აპელანტის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ვიზუალური თვალსაზრისით ნიშნები განსხვავებულია. მართალია, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები შესრულებულია ლათინური ანბანით, მაგრამ განსხვავებულია მათი ასოთა კომბინაცია და რაოდენობა. შესაბამისად, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ ვიზუალური თვალსაზრისით დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები არ არის მსგავსი.

გარდა ამისა, სააპელაციო პალატის კოლეგიამ მხედველობაში არ მიიღო აპელანტის მიერ წარმოდგენილი თანხმობის წერილი, რომლითაც დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის - „chicco“ (რეგ. N763084) მფლობელი კომპანია ,,არტსანა ს.პ.ა.“ (ARTSANA S.P.A.) აცხადებს თანხმობას, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს „KIKO“ (საიდ. N74427/03, IR 733058) მიენიჭოს დაცვა საქართველოში, საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ. სააპელაციო პალატის კოლეგია, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის თანხმობის წერილს, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ, ითვალისწინებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მფლობელი კომპანიები მიეკუთვნებიან ერთსა და იმავე სამრეწველო ჯგუფს, ან წარმოადგენენ მონათესავე კომპანიებს.

გარდა ამისა, სასაქონლო ნიშნებს შორის მსგავსების დადგენისას, ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააპელაციო პალატის კოლეგია მხედველობაში იღებს დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საქონლის ჩამონათვალს, ვინაიდან სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გაადწყვეტილების მიღებისას,

გასათვალისწინებელია არა მხოლოდ ნიშნების ფონეტიკური, სემანტიკური და ვიზუალური მსგავსება, თუ იდენტურობა, არამედ ასევე იმ საქონლის ჩამონათვალის მსგავსება თუ იდენტურობა, რომლისთვისაც მოითხოვება სასაქონლო ნიშნის დაცვა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული ნიშნის, მე-3 კლასის საქონლის ჩამონათვლის შეზღუდვის პირობებში, აღარ იარსებებს სასაქონლო ნიშნების აღრევის შესაძლებლობა. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „chicco“ (რეგ. N763084) დაცულია მე-3 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალისათვის: ,,3 - მათეთრებელი პრეპარატები; საპნები; პარფიუმერია, ეთერზეთები, კოსმეტიკური საშუალებები, თმის ლოსიონები; კბილის პასტები.“ (,,Bleaching preparations; soaps; perfumery, essential oils, cosmetics, hair lotions; dentifrices“), ხოლო განცხადებული სასაქონლო ნიშნით დაცვა მოითხოვება მე-3 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალისათვის: ,,3 - სუნამოები, საპონი, ეთერზეთები, კოსმეტიკა, დეზოდორანტები, კრემები, ლოსიონები და ზეთები სახისა და ტანისთვის, კანის გამწმენდი ზეთები, მაკიაჟის კრემები, კოსმეტიკური ნიღბები, მაკიაჟის მოსაშორებელი, თვალის ჩრდილები, პომადა, ტუში, კროკუსი, თვალის და ტუჩის ფანქარი, ტანის და სახის პუდრა, რუჯის მისაღები და მიღების შემდეგ გამოსაყენებელი კრემები, ზეთები და ლოსიონები, გაპარსვამდე და გაპარსვის შემდეგ გამოსაყენებელი ლოსიონები, ტალკის პუდრი, აბაზანის მარილი, აბაზანის ქაფი, აბაზანის ზეთი, თმის მოვლის საშუალებები, თმის შამპუნი, თმის ლოსიონი, დეპილაციის სასუალებები, ხელოვნური ფრჩხილები, და გასაპრიალებლები გარდა საქონლისა, რომელიც განკუთვნილია ჩვილებისა და 11 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის.“ (,,Perfumes, toilet soaps, ethereal oils, cosmetics, deodorants for personal use; creams, lotions and oils for the face and body; skin cleansing milks, creams and oils; make-up creams; beauty masks; make-up removers; eye shadows; lipsticks; mascara, rouge; crayons for the eyes and lips; face and body powders; suntanning and after sun exposure creams, oils and lotions; pre and after shave lotions; talcum powders, bath salts, bath foam, bath oil; products for the care and conditioning of hair, hair shampoo, hair lotions; depilatory

preparations; nail enamels and polishes; excluding goods for infants and children up to 11 years old.“). მოცემულ პირობებში, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საქონლის ჩამონათვალი აღრევამდე მსგავსია. სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშნის საქონლის შემდეგი სახით შეზღუდვის პირობებში, აღარ იარსებებს სასაქონლო ნიშნების აღრევის შესაძლებლობა: ,,მე-3 კლასი - ტალკის პუდრი, აბაზანის მარილი, აბაზანის ქაფი, დეპილაციის საშუალებები, ხელოვნური ფრჩხილები, და გასაპრიალებლები, გარდა საქონლისა, რომელიც განკუთვნილია ჩვილებისა და 11 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის.“ (Talcum powders, bath salts, bath foam, depilatory preparations; nail enamels and polishes; excluding goods for infants and children up to 11 years old).

მიუხედავად განცხადებულ და დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს შორის არსებული მსგავსებისა, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მე-3 კლასის საქონლის შეზღუდვის პირობებში, არ მოხდება დაპისპირებული სასაქონლო ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მე-3 კლასის საქონლის შეზღუდვის პირობებში, აღარ იარსებებს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი და სასაქონლო ნიშანს „KIKO“ (საიდ. N74427/03, IR 733058) უნდა მიენიჭოს დაცვა საქონლის ზემოთაღნიშნული შეზღუდული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის ,,კიკო ს.რ.ლ.“ (KIKO S.r.l.) სააპელაციო საჩივარი (საიდ. N171-03/14) დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. ბათილად იქნას ცნობილი ,,საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - ,,საქპატენტი“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 18 ივლისის N2086/03 ბრძანება.

3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „KIKO“ (საიდ. N74427/03, IR 733058) მიენიჭოს დაცვა საქართველოში მე-3 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალისათვის: (,,ტალკის პუდრი, აბაზანის მარილი, აბაზანის ქაფი, დეპილაციის სასუალებები, ხელოვნური ფრჩხილები, და გასაპრიალებლები.“) (,,Talcum powders, bath salts, bath foam, depilatory preparations; nail enamels and polishes; excluding goods for infants and children up to 11 years old.“).

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ს. მუჯირი

წევრები: ა. დალაქიშვილი

ქ. კილაძე